კვირა, 15 ნოემბერი 1915 წ. ფასი 10 კაპ.

# ეშმაკიკ-მათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 27



ჭოლა ლომთათიძე

# ჭ ო ლ ა.

ვისაც უნდა გაუკვირდეს, რომ, მაგალითად, ხვალ დილით, გაზეთის „ახალ ამბავში“ დაახლოვებით ასეთი ცნობა გამოქვეყნდეს:

„მეორე სათათბიროს ყოფილ დეპუტატს, აწ განსვენებულ ჭოლა ლომთათიძეს, ხელახლა სამართალში აძლევენ; ბრალათ სდებენ იმას, რომ მოკვდა მაშინ, როდესაც სამშობლოში მისი დაბრუნების საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ იყო და, ამ გვარათ, სიკვდილი გამოიყენა სადემონსტრაციო საშუალებათ, რათა რუსეთის მცხოვრებნი აეღელვებინა და არსებულ წესების წინააღმდეგ აემხედრებინა“.

სწორეთ ახი იქნება მასზე!

განა აშკარა არ არის, რომ ეს უკანასკნელი ბოროტ მოქმედება ჭოლამ წინათ განზრახული მიზნით ჩაიდინა და მოკვდა მხოლოდ იმიტომ, რომ მთავრობისთვის ხელი შეეშალა მის დაბრუნების შესახებ აღძრულ შუამდგომლობის განხილვაში?

ჭოლამ მშვენიერათ იცოდა, რომ სულ რაღაც ათიოდე წლის განმავლობაში ზემოხსენებულ შუამდგომლობას განიხილავდენ და ასე თუ ისე გადაწყვეტდენ.

განა არ შეეძლო ეს რაღაც ათიოდე წელიწადი მოეთმინა, ვიდრე საკითხი გადაწყდებოდა, და შემდეგ მომკვდარიყო?

და რაკი ასე არ მოიქცა და სებადაურთველათ მოკვდა ულროო დროს, აშკარაა რაიმე ფარული მიზანი ჰქონებია. ხოლო რა მიზანი უნდა ჰქონებოდა მეამბოხესა და ურჩ ჭოლას, თუ მთავრობის შეწუხება და ხელის შეშლა არა!

ოხ, ეს ჭოლა, ეს ჭოლა!

სიკვდილშიაც რომ თავისი არ მოიშალა!

ჭეშმარიტათ, ახი იქნება მასზე, ერთ საბრალმდებლო ოქმს რომ კიდევ ჩაბარებდენ...

მაგრამ, ადვილათ შეიძლება, უაქმე სულ სხვაგვარათ დატრიალდეს.

ვინ იცის, იქნებ არც კი მიაქციონ ყურადღება ჭოლას წინადგანზრახულსა და ნებადაურთველ სიკვდილის რევოლიუციურ სარჩულს, ან ვერ შეამჩნიონ ის ვერაგული განზრახვა, ჭოლას სიკვდილში რომ იმალება.

მამინ ჭოლას საქართველოში დაბრუნების საქმის წარმოება არ შეწყდება და მოსალოდნელია, ადრე, სულ ადრე, გაანთავისუფლონ კიდეც ჭოლა.

„ვინმე ლეგა მოსასხამიანი“ მივა მაშინ სარატოვის ღარიბთა თავშესაფარში და ჭოლას განთავისუფლების ფირმანს მიიტანს:

— დამიძახეთ მეორე სათათბიროს ყოფილ წევრს, სასჯელ-მოხდილ კატორგელს, ბიკენტი ლომთათიძეს!

— უკაცრავად, მაგრამ ბიკენტი ლომთათიძე დიდი ხანია მოკვდა.

— როგორ თუ!.. როგორ ბედავთ? როგორ გაბედა?..

— თქვენო მაღალშობილებავ, ჩვენი ბრალი არ გახლავთ .. ის ისეთი მოუსვენარი რამ იყო, რომ...

— არა, როგორ გაბედა მეთქი ნება-დაურთველათ?!.

ვინ იცის, იქნებ, სწორედ ამ ეფექტის გულისათვის მოკვდა ჭოლა!.

ჭოლას უყვარდა ასეთი ეფექტები.

ვთქვათ, საბრალმდებლო ოქმს გადურჩა ჭოლა. ჩვენი კულტურული საზოგადოების სამსჯავროს ხომ მაინც ვეღარ ასცდება!

წარმოიდგინეთ, ჭოლამ 15 წლის წინეთ ბელეტრისტობა დაიწყო და ამ ხნის განმავლობაში ორავალი მოთხრობა და ამბავი დასწერა. მას იმ იავითვე თვალსაჩინო ნიჭი ეტყობოდა და ეს ნიჭი, რაც დრო გადიოდა, უფრო იზრდებოდა და შვენდებოდა. მისი შემოქმედება იმდენათ თავისებური და ძლიერი იყო, რომ ჭოლა ბევრის აზრით, საუკეთესო მწერლათ ჩაითვლებოდა თანამედროვე ბელეტრისტებში. მისი ნაწერები რომ შეაგროვო, რამდენიმე ტომი გამოვა. მან თარგმნა ჰენრ. ჰეინეს ლექსები და ეს თარგმანი ცალკე წიგნათ გამოვიდა.

მაგრამ ჭოლა აბა რის ჭოლა იქნებოდა, რომ ოქაც თავისი ზნე არ გამოეჩინა და მის მაგიერ, რომ დაეცადა, ვიდრე ჩვენი კრიტიკის და საზოგადოების კულტურული ნაწილი დააფასებდა მის ბელეტრისტულ ღვაწლს, ასე მუხანათურათ არ ეომკვდარიყო.

თითქო ჭოლამ არ იცოდა, რომ ჩვენ პირუთვნელსა და ფხიზელ კრიტიკოსებს ერთი წუთი დრო არა ჰქონდათ და სანამ ქართველ უაილდების, ოპასანების და ტეტმაიერების შემოქმედებას არ ეკამკობდენ, სპირიდონ მცირიშვილისა და გერასიმოვის ვერ მიიცლიდენ!

ჰეშმარიტათ სასტიკი მსჯავრის ღირსია ჭოლა ჩვენი მოწინავე საზოგადოებისა და ქართული სიტყვა-კაზმული კრიტიკის მხრითაც...

—

ჭოლას ერთ-ერთ გრაციოზულ „სილუეტში“ ბატარა ბავშვი უცხადებს თავის ტუსაღ მამას, მე ა დედა ვარსკვლავზე, ვენერაზე, უნდა გადავსახლდეთ საცხოვრებლათო. —მე კი არ წამიყვან თანო? ითხავს მამა. ბავშვი პირში თითს ჩაიდებს, დაქრდება და კარგა ხნის დუმილის შემდეგ ასე ასუხებს:

— როგორ არა, ბამილო, წაგიყვან! იქ, ვენერაზე, ხომ არის ციხე? შენ ხომ ციხეში უნდა იცხოვრო!

და აი ჭოლა გადასახლდა კიდეც თავის „ვენერაზე“, იქაურ ციხეში სამუდამო საცხოვრებლათ.

ის ვენერა, სადაც ეხლა ჭოლა დაბინავდა ნიადაგ გზას უნათებდა მას.

მომავალის აკვანი და სავანე — მუშა ხალხი, —აი ჭოლას ვარსკვლავი.

და ციხე, სადაც ახლა ჭოლაა დატყვევებული, და საიდანაც ვერასოდეს ვეღარ განთავისუფლდება — ამ მშრომელი ხალხის გულია!

# ეშმაკმა იცის!

— ალბათ შემოვიდოდა... ასე... ასე...

— რატომ „ალბათ“, მეგობარო, და ისიც „ასე... ასე... ასე... ნუ თუ ამდენი ხნის განმავლობაში გარკვეულად არ იცი რამდენი შემოვიდა?

— კარგია ერთი, ჩამომეხსენ ღვთის გულისათვის, ეშმაკმა იცის მაგათი საქმე...

— უჰუუუ...

—

როცა ჩემს სახელს ყური მოვკარი, უნებლიეთ დამაინტერესა მუსაიფის შინაარსმა.

— მართალია, ყველაფერს, რასაც ჩვენი მოღვაწეები თავს ვერ გაართმევენ, ეშმაკს მიუდენიან ხოლმე, მაგრამ ნეტავ რაზე უნდა ჰქონდეთ მუსაიფი ამ ყმაწვილებს?..

ვფიქრობდი გუნებაში და თანაც სირცხვილის გრძნობა მქეჯნიდა. იმათი აზრით „ეშმაკმა იცოდა ყველაფერი“ და ნამდვილათ კი მე არაფერი არ ვიცოდი. ცნობის მოყვარეობამ გამიტაცა. უფრო ახლო ავეტუზე მოუბართ და სმენად გადავიქეცი.

— დაიბეჭდა ვგონეს ხუთმეტი ათასი ცალი...

— არა, მეტი. ხუთმეტი ათასი წინა პირველათ იყო განზრახული, მაგრამ როცა პროვინციიდან განცხადება განცხადებაზე მოდიოდა: გამოგვიგზავეთ, ასი, გამოგვიგზავნეთ ხუთასი, გამოგვიგზავნეთ ათასი, გამომცემლებს იმედი მიეცათ და მეტი დაბეჭდეს.

— მე მგონია ხუთმეტი დაბეჭდეს. მართალია პროვინცია ალფრთოვანებით გამოეხმაურა, მაგრამ, როგორც მახსოვს ქაღალდი ვერ იშოვეს.

—

ცნობის მოყვარეობა ჩემი წუთობით იზრდებოდა. გადმოვალაგე მეხსიერების ყუთიდან ყველაფერი მაგვარი მოგონებანი, შევსცურე შორეულს წარსულში, მაგრამ ამაოდ! ვერარა ნიშანი, არავი-

თარი კვალი. მოსაუბრეებმა და მათ შორის უფრო ხნიერმა ვგონებ მეათეჯერ გაიმეორა სიტყვა: „ეშმაკმა იცოსო“ და ჩემს გულში დანთებულ ცეცხლ: ნავთი დაასხა.

მიდიან. მივყვები. მუსაიფობენ, ვუსმეს.

— არა, რუსული გამოცემა ნახევარზე გაცილებით ნაკლები დაიბეჭდა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო.

— ვითომ რატომ?

— იმიტომ, რომ უმთავრეს მკითხველებს ქართველები შეადგენენ.

— კი, მაგრამ ქართველებში ვინც ქართული კითხვა იცის, იმას რუსულიც გაეგება და ვინც რუსული იცის იმაში ქართულის მცოდნე არც ისე ხშირია.

— ერთი სიტყვით ეს ასე იყო: „ძმური სიტყვა“ ორჯერ და მამჯერ მეტი დაიბეჭდა, ვიდრე „ბრატსკოე სლოვო“, რატომ მოხდა ეს ასე ეშმაკმა იცის!

—

— აჰა�ა! აი რაში ყოფილა საქმე! ვაი სირცხვილო, ვაი სირცხვილო!..

ვიმეორებდი გუნებაში და თან ვეძებდი ჩემი ცოდნის სალაროში ყოველგვარ წვრილმან მოგონებას „ძმური სიტყვის“ შესახებ.

გამახსენდა:—ჯერ კიდევ 29 ივლისს, „თანამედროვე აზრის“ მე-123 ნომრის ქრონიკაში ეწერა: „ქართველ მჭმადიანთა დღე დასრულდა. ორშაბათს, 27 ივლისს გაეგზავნა „ძმური სიტყვის“ დარჩენილი ნომრები. ამჟამ სადამოს შეუდგენ ეუფლებიდან ფულების თვლას“.

— კარგი და პატიოსანი! ველაპარაკებოდი მე ჩემსავე თავს,—ფულების თვლა დაიწყეს 27 ივლისს საღამოთი. მას შემდეგ გავიდა: 5 დღე ივლისი, 31 დღე აგვისტო, 30 დღე სექტემბერი, 31 დღე ოქტომბერი და 8 დღე ნოემბერი, სულ 105 დღე. მე არა ვარ იმის მომხრე, რომ მუშა, თუნდაც იგი საქველმოქმედო საზოგადოებაში მსახურებდეს, **რვა საათზე** მეტი ამუშაონ, მაგრამ ამ შემთხვევისთვის ავიღოთ სამუშაო დღე 5 საათის სიგრძისა. გამოვა სულ 525 საათი. საათში ჩვეულებრივი მუშა დაითვლის არა ნაკლებ 3600 უზალთუნისა. (საჭიროა ვიცოდეთ, რომ „ძმური სიტყვა“ იყიდებოდა ცალი ორ შაურათ). მაშასადამე 525 საათში ერთ კაცს შეეძლო გადაეთვალა 1890000 უზალთუნი, ანუ 189000 მანეთი.

— მაგრამ, ვმუსაიფობდი ჩემთვის, საქმე იმაშია, რომ **თვლა ჯერაც არ გათავებულა.** მაშასადამე შევოსავალი „ძმური სიტყვისა“ ზემოაღნიშნულ თანხას უთუოდ სჭარბობს.

თავისულათ ამოვისუნთქე!—დიახ, ახლა ეშმაკმა იცის, რამდენი შემოვიდა „ძმური სიტყვის“ გაყიდვით ჩვენი ძმების აჭარლების სასარგებლოთ, დაახლოვებით მაინც იცის მეთქი, არხეინათ ჩავილაპარაკე და...

—

სწორედ ამ დროს მომესმა უკანიდან ბოხი ხმა ივანე ქველმოქმედოვისა.

— ეშმაკმა იცის მაგათი თავი! კაცო, აბბოზენ ზოგიერთ აგენტებს ჯერაც არ წარმოუდგენიათ პროვინციიდან ხვედრი ფული და ანგარიში არ გაუსწორებიათ... აბა საიდან მეცოდინება რა შემოვიდა.

— ვინ არიან ეს აგენტები? შეეკითხა ელენა ქველმოქმედოვისა.

— ეშმაკმა იცის იმათი თავი!

—

თავბრუ დამესხა! ახალი კითხვა, ახალი თავსამტვრევი საგანი! ახალი შეურაცხყოფა ჩემი ეშმაკური თავმოყვარეობისა.

— ოოოჰ, ქველმოქმედებო! დამაცადეთ, მე თქვენს ოხთში ამოვალ, უთუოდ ამოვალ! თქვენი მიზეზით უნდა ახსენონ წარა-მარა ჩემი სახელი, დამაცადეთ, დამაცადეთ. მე არასოდეს არ მიყვარდნენ ქველმოქმედები, მეტსაც ვიტყვი:—ქველმოქმედი და ბოროტ-მომქმედი ჩემთვის ბევრით არ განსხვავდებიან, და თუ... და თუ... და თუ კი ისინი ასე წარამარა „მოიღებენ სახელსა ჩემსა ამაოსა ზედა!..

ამ ბოროტი განზრახვით გავექანე საქველმოქმედო საზოგადოებისაკენ. დიახ მსჯრს გავიგო იმათი სახელი, ვისაც ივლისიდან ჯერაც ვერ გადაუთვლია „ძმური სიტყვის“ გაყიდვით შემოსული უზალთუნები,

რომ ამ პირებს ანგარიშსა და ყოფაქცევაში ორი დავუსვა.

ვნახოთ.

**ეშმაკი.**



# ბებერი მგელი.

(განაგონი)

დაბერდა მგელი, ბეხრიკი,
დასძვრა ბრჭყალი და კბილები
მას ხორცზე ტყავის ნაგლეჯი
და ძვლებზე ნაცოდვილები.
დაჰკარგა ძველი ჯავარი,
ძველი რიხი და ღონეა,
დღეს, როცა ამას იგონებს,
სიზმარი ჰსრახა ჰგონია.
ახლა აჩრდილიც არ არის
იმ რაინდობის ჟამისა;
ერთი-ღა შერჩა წარსულის,—
—მახვილი მადა ჭამისა.
მაგრამ რა ჭამოს?!?!?! ითხოვოს?
ვინ არის თხოვნის გამგონე?
თვითონ იშოვოს... სად შესწევს
მას საამისო ძალღონე?!?!
არა და კვდება სიმშილით,
რომ დადის, ატყობს იქცევა...
სხვა ღონე ვერა იღონა
და მწყემსს მიმართა ისევა.
უთხრა მას:—რაა, ძმობილო,
გადამკიდიხართ მწყემსები
და ჩემი ნახვა გესობათ
თვალში თქვენ, ვითა ნემსები?
მართალი არის, ზოგ-ზოგჯერ
მოგტაცებ ხოლმე თითო ცხვარს,
მაგრამ ეს კუჭის ბრალია,
თორემ ქურდობა არ მიყვარს.
ვინაა დანაშაული,
რომ მშიერს ჭამა სჭირია,
რომ მუცლის მოსამსახურე,
კბილები, ყბა და პირია?
მოდით და ერთი გამაძღეთ,
მომეცით ლუკმა დღიური
და გამომცადეთ რა მშვიდი
შევიქნე მე ეგ ტყიური.
— რა გაძღომაო, სთქვა მწყემსმა,
ვისი გაძღომა, მსუნაგის?!?!?!
მგელი გამძღარი ვინ ნახა
მობინადარე ბუნაგის?
საქმეც ის არის შე წუწკო,
რომ არ გაძღები აროდეს...
გამშორდი, სულს რომ მიათრევ
შენ ჩემგან, ეგ გიხაროდეს.
მგელს ჩხუბის თავი საღ ჰქონდა,
აღარ ებადა კბილები...
მეორე მწყემსთან წავიდა,
პირველის განაწბილები.
— ძმობილო, იცი?!! უთხრა მას
მე ერთი რამე მწადია,—
შენთან მოყვრობა ვიფიქრე.
ეგრე სჯობს ცხადზე ცხადია.
პირობას დავდებ,—გემოყვრო,
დავაგდო ჩემი ადათი.
ოღონდაც ყოველ წელიწადს,
მაძლიე ცხვარი ათ-ათი.
მერე მე ჩემთვის, შენ შენთვის,
სიტყვა სიტყვაა... პირია...
აღარც ამდენი ქოფაკის
ყოლა და რჩენა გჭირია.
— ათი ცხვარიო?!?! რას ამბობ,
რომ სული გაგაგდებიო!
ერთის მომცემი ვინაა!
რას მიედ-მოედებიო?!!
— მაშ, არც ერთს მომცემ?!! სთქვა მგელმა,
— მგელო, გამშორდი ხელადო,
ცოცხალს რომ გიშვებ არ გყოფნის
შენ ჩემგან საციქველადო?
კარგია შენმა სიცოცხლემ
თუ ავყევ მე შენს ჭორებსო
და ხარკი მივცე მებეგრეს
ადვილათ მოსაშორებსო.
— რა მეშველება!! სთქვა მგელმა,
ნუ თუ არ არის რამე ხსნა?
მესამე მწყემსთან წავიდა,
სხვა გზა რა ჰქონდა, რა ექნა?
— მწყემსო, უთხრა მას,—გავიგე
რომ მოგკვდომია მურია,
და ახლა სხვა ძაღლს დაეძებ,
აკისრო სამსახურია.
და გირჩევ, წადი იოლად,
მოდი ჭკუასთან შენც ახლო,
მე დამიყენე დარაჯათ...
მიყურე, როგორ გეძაღლო!?!
და მერე კიდევ, მას შემდეგ
რა რომ დავაგდე მგელობა,
შენთვის მოძევა ვიქნები...
ვიცი დარაჯის ხელობა.

მწყემსი აენთო, უყვირა!
— როგორ თუ შემასხრეგიო!!!
და შენგან მერე ვინ იხსნას
ჩემი საწყალი ცხვრებიო!!!
სად თქმულა კაცმა საცავად
ქურდს ჩაბარა ქონება!!!
გამშორდი... არ დამკარგვია
ჯერ სამაგისოდ გონება.
— ოჰ, რა ძნელია სიბერე,
ეგ ოხერი და ტიალი!!..
სთქვა და სხვა მწყემსთან წავიდა
ეს მგელი ნახეტიალი.
— მიცნობ მე მწყემსო? ჰკითხა მას.
— შენ კი ვერ გიცნობ პირადო,
მაგრამ, ჰო, შენისთანებს კი
ბევრს ვიცნობ ჩემდა ჭირადო.
— ჩემისთანებსო? ვინ ნახა
ჯერ მგლები ჩემი ფარდები?
მე, როცა კარგათ გამიცნობ,
უმალვე შეგიყვარდები.
— ვითომ და რა ხარ ასეთი,
მგელი ხარ, მეტი ხომ არა.
— მგელი ვარ, მარა უვნები,
ჩვარი ვარ, ერთი, ტომარა...
ცოცხლებზე ვეღარ ვნადირობ,
ბეჩავი, მე უსვებედო...
დამრჩვალი რამე თუ ვნახე,
ეგები იმას შევბედო.
ამიტომ მოვალ ზოგ-ზოგჯერ
მე ამბის გასაგებადა,—
ეგების რამე მოგიკვდა
რომ მომცე წასაღებადა.
მხოლოდ დამრჩვალი მომეცი
რომ გამოვიძღო მუცელი...
თორემ სხვა ზიანს შენ ჩემგან,
ნურც იფიქრებ და ნურც ელი.
— მოხვალო?!?? გასწი! მთელ ფარას
დამიხოც შენ ერთ ღამესო,
მგელი დამრჩვალის მჭამელი
დაზოგავს ცოცხალ რამესო.
გაძლიო, თუნდაც დამრჩვალი...
რა მეგობარი შენ ხარო...
სანამ ცოდვილ სულს დასტოვდე
გამშორდი რას მიდგეხარო!!!
მგელი შეშინდა: სთქვა, მწყემსი
ავია, ავი სახისო,
„კლიაუზნია“ ვილაცა,
რა მკვახედ გაიძახისო!
და გამობრუნდა განგალით
სხვა მწყემსს მიადგა კარებზე.
— ერთს კიდევ ვსინჯავ ჩემს ბედსო,
სთქვა დაჩვეულმა ვარებზე.
— მწყემსო, უთხრა მას, ტვავი მაქვს
მე ერთად ერთი ქონება,
და მსურს შენ მოგცე ფეშქაშად,
ნახე თუ მოგეწონება.
გასინჯა მწყემსმა და უთხრა:
ჰო, კი ღირს გახდის ქირადო,
ეტყობა, ძაღლის კბილები
მას არ გაჰკვრია ხშირადო.
— დიახ, და საქმეც ეს არის,
რომ სანაქებო ბეწვია.
და რადგან უკვე ვიგრძენ რომ
სიკვდილის ჟამი მეწვია,
ანდერძი დავსდევ,—როს მოვკვდე,
(სხვა ან კი რა დამრჩენია)
ტყავი შვნ უნდა გამხადო,
ღმერთმა შეგარგოს შენია.
ოღონდ კი, სანამ ვიცოცხლებ,
მასვი—მაჭამე, მარჩინე...
და როცა აღვესრულები
ანდერძი გამოაჩინე.
მწყემსს გაეცინა და უთხრა:
— ვეკრძალვი ხარჯებს კერძოთო.
სჯობს ახლავ გაგხდი ე მაგ ქურქს,
უხარჯოთ, უანდერძოთო.
და შუბლში ტყვია უსწორა
(ის კეტით აღარ აწამა)
მოჰკლა და ტყავი გააძრო,
ლეში კი ძაღლებს აჭამა.

ა. ბლიკვაძე.



# ნარკვევი.

(ანუ სალაყბო წერილი)

„შეჰკრთა სუსხი... შავი ნისლი
უფსკრულისკენ მისრიალებს...
ჰა დრომ დაჰკრა სანეტარომ
და ზამთარიც ხუჰავს თვალებს!
იქ შეხედე, ცის კიდურზე,
მზე ოქროს სხივს აელვარებს!
მთის მწვერვალზე ძლევის დროშას
ალმასივით აფრიალებს.
ამიტომაც შავი ნისლი
უფსკრულისკენ მისრიალებს...
ზამთარი თრთის სულთ მობრძავი—
სამუდამოთ ხუჰავს თვალებს“.

გაზ. „სამშობლოს“ სურ. დამატება № 29.

ეს ლექსი ძველ დროში დაწერილია, იმ დროს, როდესაც მწერალ „თაგუნას“ სიტყვით: „საქართველოში ერთ მილიონ მგოსანზე ერთი მცხოვრები მოდისო“. მაშინ თურმე, თუ პოეტი არ იყავი, სოფელ-ქვეყანაში თავს ვერ გამოყოფდი. აუცილებლათ ყოველივე სქესს, ცხრა წლიდან უნდა დაეწყო ლექსების წერა, მაგრამ ეს დალოცვილი სამწერლო ნიჭი ყველას ხომ არ გამოყვება; არა და სხვა ყოველივე ხელობა სამარცხვინოდ იყო აღიარებული. მაგალითად: მიწის მუშას, უკაცრავად პასუხია ვირს ეძახოდენ. ამისათვის ეგრედ წოდებულ მიწად-მომქმედ აგრონომებმა დაანებეს ამ თანამდებობას თავი და მგოსნობა იწყეს. (მაგ. სიმონ ქვარიანი, და სხვები)... რასაკვირველია არც ადუკანტებს შველოდა თავის ადუკანტობა სახელის მოსახვეჭად, განსაკუთრებით მის შემდეგ, რაც მგოსან აკაკიმ მათ მჩხავანა კატები უწოდა. ამიტომ ბევრმა ვექილმა იწყო მგოსნობა (გვაზავა და სხვ.) ჰო და ასე იყო, ყოველი პროფესიის კაცი. ამისთვის გახშირდა სხვისი ნაწერების მითვისება, მაგ. ზემო დასახელებული ლექსი გვხდება ჩვენ სამ პიროვნების ნაწარმოებში: პირველი ეკუთვნის სოლ. გოშაძეს, 1907 წ. იხ. „ახალი ჩანგი“ გამოც. 1910 წ. გვ. 240, და რეკეკე როკოკოს ზეპირ სიტყვებში, მესამე ეკუთვნის პლაგიატორ კ. მიმქრალს. (კოსტა ცერცვაძეს) გაზ. „სამშობლოს“ დამატება 1915 წ. თუ იმას არ ვიანგარიშებთ ვითომც, რომ კვერცხი უმანდელია ქათამზე, ეს ლექსი უნდა მივაკუთვნოთ სოლ. გოშაძეს. კ. მიმქრალს კი მოპარული უნდა ჰქონდეს. რეკეკე-როკოკოზე კი ვერაფერს ვიტყვით, ვინაიდან ის იუმორისტი იყო და ასეთს სერიოზულს ვერაფერს დასწერდა. მხოლოდ ზეპირ-გადმოცემებში ჩვენ ვხვდებით: „მოძრაობის დროს, თურმე, სადღაც ხის ქვეშ ხალხს კრება ჰქონდა. ერთი შემოძველებულ მუნდირიანი ხმელი, მორჩილი, ქერა კაცი, ხეზე შემდგარიყო და ხალხს ეუბნებოდა: „დღევანდელი მსხვილი ბურჟუაზია, რომელიც ობობასავით გვწოვს სისხლს, სუყველა ჩვენს ზურგზეა გასუქებულიო“. იქვე მდგომმა რეკეკემ მოსწრებულათ მიუგო მას:

— შე მამაცხონებულო, შენს ზურგზე რწყილი კბილებს დაიმტვრევს და ისინი როგორ გასუქდებოდენო.

**რეკეკე როკოკო.**

# რკინის გზაზე მოგზაურთათვის

(ნასესხები)

რკინნის გზაზე სამგზავრო ბილეთის ფასი არ გადახდება ბავშვებს (რომლებიც იმყოფებიან დედის მუცელში).

მგზავრს არ გადახდება ბაგაჟის ფული (იმ ბარგის, რომელიც სახლში დარჩა და თან არ მიაქვს).

მესამე კლასით მოგზაურობის დროს ზედ მეტს არავინ გადაახდევინებს იმ მოგზაურს, რომელსაც აღებული აქვს მეორე კლასის ბილეთი.

შეყვარებულებს ნება ეძლევა რკინის გზის ვაგონებში ერთმანეთს ეარშიყონ, ამის ჯარიმათ არავინ არას ითხოვს.

იმ შემთხვევაში, თუ არც ერთ ვაგონში თავისუფალი დასაჯდომი ადგილი არ მოიპოვება მგზავრს სრული ნება აქვს ფეხზე გაჩერდეს.

ყველა მგზავრს (გარდა ხეცისა) უფლება აქვს ჯიბით უფასოთ ატაროს ნივთები.

საქალებო განყოფილებაში მხოლოდ იმ მამაკაცს შეუშვებენ, რომელიც კონდუქტორს „მალარიჩით“ დაარწმუნებს, რომ ის დედაკაცია.

ყველა ვაგონი, რომელიც სამგზავროთ არ არის დანიშნული და სადგურებში დგას, სუფთად არის დაცული.

რკინის გზის მსახურებს უფლება არ აქვთ მგზავრებს (რომელთაც ბილეთი აქვთ) ზედ მეტი გადაახდევინონ, იმისათვის, რომ მათ აგინებენ და ზოგჯერ კიდეც სცემენ.

„წესრიგის დასაცავად ყოველი კორიდორის შესავალთან სდგას მეკარე, რომელიც მიუცილებლად უნდა იყოს დანიშნულ ადგილას, რომ მოწაფეთაგანი არავინ გამოუშვას და არც არავინ შეუშვას. მეკარესა ჰყავს ამხანაგი, რომელიც მას ეხმარება ხოლმე.

ალ. ჭიჭინაძე. („სახ. ფურ.“ 418)

# პარადი ქართულ გიმნაზიაში



ა. ჭიჭინაძე. გამარჯობა, ყოჩაღებო!

**ბახურთა რაზმი.** გამარჯვებას ვუსურვებთ თქვენს მაღალ დირექტორობას!

# თფილისის ტრამვაი




**რასსინი** მოიღეთ მოწყალება ღვთის გულისთვის, ხომ ხედავთ ჩემს სამოსელს?

## ბრძანება ეშმაკისაგან.

(ბუტუნასადმი ფოთში)

კერძო ცნობები მოსდის ჯოჯოხეთს,
შენი სიჩუმე გვაკვირვებს დიდათ:
„სერგია რადგან აღარ გამოდგა
შანტაჟისტების გზათა და ხიდათ,
პეტრეზა შვილის წართმევა სურდათ,
შემდეგ ვასილზე კვლავ მისაყიდათ,
სახლში მიმავალს დაესხენ თავზე,
როს მიდიოდენ ბაზრიდან მშვიდათ.
ტყვე დედა-შვილმა შექმნეს კვილი,
პოზიციური გაჩაღდა სროლა,
ვასილი დასჭრეს თუმცაღა პეტრემ
შანტაჟისტებსაც კი მიაყოლა.
მოულოდნელმა ცხარე შელუღმა,
დასცა მთელ ქალაქს რა შიშის ზარი,
ყველა სახლებში ჩაქრა სინათლე,
ბაზარმაც ხელათ დაჰკეტა კარი,
რადგან მეკობრე მტერი ეგონათ,
ზღვიდან ხომალდით შემოპარული.
ვინ იფიქრებდა მტერი შინ გვყავდა,
მტერი „მოყვრებში“ თავ შეფარული.
მსხვერპლიც გადარჩა შეუწირვილი,
დამნაშავენი კი მიიმალა,

თუმცალა იმათ აღმოსაჩენათ
მიღებულია ყოველი ძალა"
თუ მართალია ყოველი ესე
და შენ კბილებით აჩერებ ენას.
ალბათ გაშინებს შანტაჟისტები,
არ ერიდები ეშმაკის წყენას.
ეს ორი მუხლით უნდა დავსაჯოთ
მშიშარა ჩვენი თანამშრომელი,
აგე პასუხი ჩვენს ბრძანებაზე
**ჯოჯოხეთიდან არის რომელი.**

## განმარტება ეშმაკისადმი.

ბოროტ სულების გულთამხილველო,
სრულო მმართველო ჯოჯოხეთისა,
სასუფევლის უარმყოფელო
გამარისხებო მაღლით ღმერთისა!
მივიღე თქვენი მკაცრი ბრძანება
რითაც მომელის სასჯელი მწარე,
სასჯელზე უფრო მე ის მაშინებს
არ ავვიჯანყდეს შავი ზღვის მხარე.
ერის ოჯახში მახინჯ შვილებზე
თუ გავამჟღავნეთ სუყველაფერი,
გამცემ-მძარცველი, შიშველ-მშიერი
ხო გაილანძღა ქართველი ერი?
იქნება ფიქრობთ, ექს-რაინდები
სხვა ტომის არის, ან სხვა ნაცია?
არა... ისინი კარგა ცნობილი
და შინაური ჩვენი კაცია.
რაღა ვამხილო, რაც ყველამ იცის,
რასაც სუყველა ერთგულად ფარავს
კაცი, რომელიც არ სთესს, არა მკის,
არც მოხელეა, არც მიწას ჰბარავს,
მდიდრულად ცხოვრობს, „წრეში" ტრიალებს,
ქელეხიც უყვარს, თამაშიც ხშირათ,
შემოსავალი თუმც არ სჩანს მისი,
ხარჯვას და ფლანგვას არ აგდებს ჩირათ.
თუ ამას ფარავს გარშემო ყველა,
მე რაღას გავხდე, მიბრძანეთ ერთი,
**რად** მსჯის ეშმაკი ჯოჯოხეთიდან,
ან სამოთხიდან საბაოთ ღმერთი?
ეხლა ხომ მიხვდით, ქაჯთა მეფეო,
უმართლოთ მაწერთ სიმხდალე შიშსა,
გამბედაობას მიწუნებ ქართველს!
არ გეკადრება ქართველის ჯიშსა.

**ბუტუნა.**

---

# გამოქცეულები.

— მართლა, კინაღამ არ გადამავიწყდა? წეღან ფოსტალიონმა დეპეშა გადმომცა. წამოიძახა ილია მანუჩარიჩმა, უბიდან დეპეშა ამოიღო და კითხვას შეუდგა.

— რაო?!? რაო?!.

რამდენი გადმოხვეწილია ქუთაისის გუბერნიაშიო?!. როგორ?!. ჩემი ქალაქი თბილისი ხომ არ ჰგონია მამა-ცხონებულს, რომ გადმოხვეწილებს ადგილი ჰქონოდა???... ცდები, ცდები...შე. .დაიღრიალა ილია მანუჩარიჩმა და რაიანდული სისწრაფით მიიჭრა ტელეფონთან.

— დზინ... დზინ... დზინ..—

— ვინ ლაპარაკობს აა?? ჩასძახა ილიამ.

— მე ვარ მე, ვანო! *) იყო პასუხი.

— ააა ვანო... გამარჯობა... სადა ხარ კაცო რომ ვეღარ გხედავ ეს ექვსი თვეა?! მარა ამაზე სხვა დროს... შენ ეხლა მითხარი, ამ ახლო წარსულში ოღასკურისკენ, ან სიფირჩხიისკენ ხომ არ აგივლია?!?

— საფირჩხიაზე გასული თვის ხუთ რიცხვს დავაპირე ასვლა; მინდოდა უდროოვოთ დაკარგული მეგობარი საფლავის კარამდე მიმეცილებია, მაგრამ არც ერთმა მეეტლემ არ წამიყვანა; ფეხით იქ გადასვლას კი, როგორც იცი, კაი ბიჭი უნდა, ჩემო ილია.

— ოღასკურასკენ?

— ოღასკურაზე ამ კვირია ვიყავი იმავე მიზნით, მაგრამ ნეტავი შენის კარგად ყოფნით სულ არ წავსულიყავი... ვეღარც მიზანს მივაღწიე და ფეხი კი შიგ მუხლში ვიღრძე. ეტლს და მეეტლეს რა მოუვიდა ახლაც არ ვიცი, რადგან მე მხოლოდ დღეს დილით მოვედი გრძნობაზე. რავა, რაშია ილია საქმე??.

— რაშია საქმე და ჩვენი დედა ქალაქის არა მკითხე თავი, დეპეშით მეკითხება თფილისიდან: რამდენი გადმოხვეწილია ქუთაისის გუბერნიაშიო... იმას კი არ კითხულობს არის თუ არაო...არა, პირდაპირ, რამდენიაო!? მართლა, იქნება მოჰკარი სადმე თვალი იმ გამოქცეულებს? ან თეატრში, ან ბაღში, ან კლუბში??

— არა, არა და არც მგონია, რომ იყვნენ.

— აკი მეც მასე მგონია!! უკაცრავად, მშვიდობით იყავი...

---

*) სამოქ. თვითმქრთველობის წვერია.

— თურმე, ბატონო, კვალსაც ვერ მიაგნეს... ბარე ორმოცდა ათი კაცი ყოფილა. გაუბედავად წაილაპარაკა ილია მანუჩარიჩის მსახურმა, რომელიც ხმაურობის გამო ოთახში შემოსულიყო.

— ვინ ყოფილა ბიჭო ორმოცდა ათი?

— თქვენ რომ ბრძანებთ ბატონო ისინი... გაქცეულები.

— მერე შენ საიდან იცი??

— ლადიკავკაზში კი არა ბატონო, პეტრებუნწყში რა ხუება იგი ვიცი თქვენის წყალობით... ასე მოგახსენებენ ბარე ხუთი ქე ოუგორებიათ და სხვებს კი თავისთვის უშველიათო...

— ბიჭო რეებს ბოდავ?! რა პეტროგრადიო, რა ვლადიკავკაზიო! რა ოუგორებიათო. ხომ არ გაგიჟებულხარ?!

— აბა მაგას რეიზა იკადრებ ბატონო... რამ გამაგიჟა ეამხელა კაცი... ჩემი თვალებით რომ არ წამეკითხა კიდო იტყოდ კაცი...

— რა, ბიჭო? რა წაიკითხე?

— რა, ბატონო, და ხუთი ქე მიაგორეს და სხვები მიწამ ჩაყლაპა თუ ცამ ვერავინ გაიგოვო...

— ვინ გაიქცაო, ბიჭო, ვინაო?!—შეჰყვირა მრისხანეთ ილია მანუჩარიჩმა.

— ჩაჩნები, ბატონო ჩაჩნებიო!?!

— უთუოდ სიზმარშია ეს უბედური რა უქირდა, ბიჭო, ჩაჩნებს გასაქცევი სად ჩაჩნები და სად ომი?!

— აბა მაგას რეიზა კადრულობთ, ბატონო!! ციხეში მყოფი გაპირვებულია, აბა რა ჯანაბამ დაალხინა??!

— ჭეშმარიტად გაგიჟდა ეს ოჯახდაქცეული.

— თქვე დალოცვილო, თუ არ კითხულობთ ამ გაზეთებს, ფულებს მაინც რეიზა იხითით ტყუილა. აგერ არ სწერია, ლადიკავკაზის ციხიდან 50 ჩელოვეკ გეიქცაო ხუთი მოკლეს შვიდი დასჭრეს და დანარჩენები გეიქცენო?..

— მოდი ახლა და ჭკუა ჰკითხე ამას!!! ქართველი მაინც არ იყოს ეს ოჯახდაქცეულის შვილი! გულმტკინვეულათ წარმოსთქვა ილია მანუჩარიჩმა და სასოწარკვეთილათ ხელი ჩაიქნია.

— რავა, ბატონო სიცრუეა ვითამ?!!

— 'შეიძლება სიმართლეც იყოს, მაგრამ შეგამოყეყეჩებულო, ვლადაკავკაზის ჩაჩნებზე კი არა, სათათრეთიდან გადმოხვეწილ სომხებზე ვლაპარაკობთ.

— სომხებზე?!! სომხები არ ვიცი და ჩვენი მეზობელი დოხტურის ქართველი ლაქია კი გადახლეწილა საცხა ორი დღეა ეძებენ მარა კვალს ვერ მიაგნეს.

— შენ არსად შეხვედრიხარ ქუჩაში გადმოხვეწილ სომხებს?!

— თქვენ ქე მოგეხსანებათ. სიარულის მეტს რას ვაკეთებ, მარა არსად არ დამინახავს...

— აკი მეც მასე არ ვფიქრობ რომ არსად არ არიან გადმოხვეწილები!! და ნურც ინებოს ღმერთმა მათი აქეთ გადმოხვეწა, თორემ ის გადმოხვეწილები ახლა რომ თბილისს ეპატრონებიან, წაილაპარაკა ილია მანუჩარიჩმა და მსახური შემდეგი შინამრსის საპასუხო დეპეშით აფრინა ფოსტაში:

თფილისი ე. ი. ხატისოვს;

„ჩემი ფეხით შემოვიარე მთელი ქუთაისის გუბერნია, დაწყებული ალექსანდრეს ქუჩიდან, გიმნაზიის ქუჩამდე, მაგრამ ერთი, გადმოხვეწილი ვერსად ვიპოვე“. ი. მ. ჩიქოვანი.

**ბ. მწვანეყვავილელი.**

# გიგო და გიტო.

**გიგო.** ხოშგელდუმ გიტო! რას იტყვი ძამო,
თუ რამე იცი აბა საამო?

**გიტო.** საფარ გელდ ყარდაშ! საქმეა ცუდათ,
სჩანს ეს ქვეყანა თლათ მოსპონ უნდათ.

**გიგო.** ჰო, ომი ძამო, არ გკითხავ მაზე...
მომბეზრდა ბჭობა პოლიტიკაზე.
მე მოგახსენებ შინაურებზე
ზოგ-ზოგ ბობოლა ბედაურებზე.

**გიტო.** რა გითხრა, აბა მაგათი ჭკუის
კაცი გგონია—გღალატობს, სტყუის.
აგერ, ექიმი ვიღაც—ბაია,
თურმე გაეგდო სურდა ხმაია...
გუშხამ ლესელებს წაჰკიდა ბელა,
განცხადებები გამოაჭრელა:
„მოვედით ჩემდა უძლურებოო,
მე მკურნალი ვარ სანაქებოო,
მასთან ვიქმ საქმეს სასახელოსო
ქანქარს დაუტოვ სამკითხველოსო!“
შემოკრბენ ციებ-ცხელებიანნი
ურიცხვი ჭკვალებ-ხველებიანნი
ურმებ-ეტლებით და ჯალამბრებით,
დედავ! ვარია ტელეგრამებით...
ბილეთები სულ გაყიდულია
ახლა ვინ ეტყვის ხალხს რომ ტყულია...

**გიგო.** ფუ, შევარცხვინე კაცობა მისი
ეგ რა სიცრუის სცოდნია კურსი?!
აგერ მეც გითხრა ერთი ამბავი:
ჩვენს კოპერატივს უქნია ხვავი...
ორას ოცი და რაღაც ქანქარი
აღარცა ჩვენ გვაქვს, აღარც მაქ არი.

**გიტო.** ეგ როგორ მოხდა, გეთაყვანები,
გუშხამ რომ ქოდათ გრძელი ენები
ნოქარი გარეთ გამოაბრძანეს
და ესდეკობა მას დააბრალეს,
მარა ახალი გაუჩნდათ ჭირათ
და წუნიობა დაუჯდათ ძვირათ!
ეხლა მოიხმონ მახარობელი,
(ჩიბათის ასჯერ დამამხობელი)
ენა ჭარბობით გატიტვლებული,
და თავმჯდომარე ივან ქებული
ამასთან კიდევ სამსონ ჭაბუკი,
და უკრან პლატონს ნადარა, ბუკი,
ჩვენ დავამღეროთ: „ჩვენი ჭკვის მჭირს“
რატომ მივანდეთ მაშ ბოსტანი ვირს?

**გიგო.** საბჭოს წევრები რაღას შვრებიან,
არც ამჟღავნებენ, აღარც წყრებიან?

**გიტო.** არ ვიცი ძმაო, როგორ ვთქვა, თვარა
გულს კი მაკლია მაზე პატარა.
სიმართლეც აქვენ, შრომასაც ბედვენ,
მარა როდესაც ასეთებს ხედვენ,
არც მწვადის დაწვა, არც შამფურ ტარის
მოვალეობის ღალატი არის...

**გიგო.** ეგ მარჩიელი ვინღა არისო
ბეჟუკასას რომ ხშირათ დადისო?

**გიტო.** აი ვის უნდა მწვავი მათრახი,
ამ აფერისტმა დაძარცვა ხალხი.
აქეთ-იქიდან მოაქვთ ძღვენია...
მასპინძელს მაინც რათ არ რცხვენია?

**გიტო.** მშვიდობით ძმაო, კვლავ გნახავ კვირეს

**გიგო.** გნახავ ამ თქმისთვის თუ არ გვიჭირეს.

**ხიც-ხიც.**



# დეპეშები

**ფოთი.** „ეროვნულმა“ მუშებმა დაადგინეს როგორც პრესით ისე აგიტაციით სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადონ და სამუშაოდან გარეკონ „სამშობლოს ვარისმყოფელი მუშები, რომ ამით იხსნან როგორც ქართველი ბურჟუაზია, ისე ქართული მრეწველობა დღუპისაგან.

**იქიდანვე.** ვადაჭკორიას სტამის მუშებმაც ამავე მიზნით გადასწყვიტენ გაგრძელონ სტამბაში მუშაობა ძველებურათ ე. ი. დღე და ღამეში 4 საათის დასვენებით მიუხედავათ ამისა, რომ ამგვარმა შრომამ ერთ მუშას უკვე დაუზიანა ფილტვები და ექიმის რჩევით თავი გაანება მუშაობას. რადგან ყოველი დიდი საქმე მსხვერპლს თხოულობს „მუშებიც“ სწირავენ.

**იქიდანვე** ხე-ტყის ქარხნის მუშებსა და ხაზეინებს შორის დადებული შეთანხმების პირობა ხაზეინმა მოისრაფეშვილმა კოოპერატივის ფურნეში „შეინახა“, რადგან მოგეხსენებათ ფოთი ჭაობიანი ქალაქია და პირობა დაობებისაგან დაიფარა. აგრეთვე ცხოვრებაშიც „დაცულია“ დადებული პირობები მიუხედავათ იმისა, რომ ხაზეინმა თოდრაძემ ყოფილი მუშის მაგივრათ თავის ნათესავი დააყენა სამუშაოზე და მუშა „დასასვენებლათ“ გაუშვა. მუშებიც „გამოფხიზლდენ“ ამ გარემოებით და ყოველ სალამოობით იკრიბებიან „თადეოზის სახელობის სახალხო სახლში“ მუშა თედორაიას „ლექციების“ მოსასმენათ.

**ბუტუნას სააგენტო.**

---

**კაცხი.** მცირე რიცხვოვანი ჯგუფი, მასწ. ქალის ქოჩიაშვილის მეთაურობით, დაბინდებისას მოულოდნელად თავს დაეც საქალებო სკოლას, დაახვევინა განაპირა სოფლამდის და გამაგრდა აბესაძის დუქანში, ღელის პირად. თავზარ დაცემულმა ხალხმა კონტრ-იერიში მიიტანა და შესძლო შკოლა ისევ საზ. შუაგულში შემოეტანა. მიუხედავად იმისა, რომ საქმე მცირე ჯგუფის სასტიკი დამარცხებით გათავდა, ჯერაც გამოურკვეველია, თუ ვინ უნდა ზღოს ომისგან მიყენებული ზარალი.

**ზახრუმა.**

---

**ს. დარჩელი.** არ შემიძლია არ დავეთანხმო მე-20 ნომერში ბ. ხანის მიერ გამოცხადებულ დე-

პეშას. აქაც ბ. მ. კანდელაკის აფთიაქში დამზადებული წამალი ისეთივე სხვა და სხვა მიზეზების გამო როგორათაც დ. აბაშის აფთიაქში, ნაკლებ საიმედოთ იქმნა ცნობილი. დარჩელის ზოგიერთ პირებისაგან, რომლებმაც მიიღო კიდეც „აგენტობა“ მეზობელ ს. კახათის აფრთექარი ბ. ე. ნადარეიშვილისა და ელვის სისწრაფით გაავრცელეს ხმა: „ციების უებარი წამალი „სეკრეტი ნადარეიშვილისა“ იშოვება მხოლოდ კახათში ისიც იაფად, მიუხედავათ ომიანობისაო“. მართალაც კურთხეულ იყოს ნიჭიერება ამ პატიოსან გვამისა, დიდძალი ხალხი მიიზიდა და გაჰკურნა დროებით. საუბედუროთ მმართველი თითონ არის, მუშა ხელიც მეტი არა ყავს და ვერ აუდის მუშტრებს, რიგის გარდა (როგორც სადგურის კასაში) არვის ღებულობს, მაგრამ უფრო ხელს უშლის სუსტ ავათმყოფებთან დასახედავათ წაბრძანება. ვინც ეღირსება კი „სეკრეტის“ (ანილინ გარეული ქინა) კაპსულების შეძენას მის ბედს ძაღლი არ დაყეფს, თუნდ ციებისგანაც არ გაწიკურნოს სანამ ათი კაპსულის მიღებას გაათავებდეს ლაზათიანათ შეუღებავს ცისფრათ შარდს.

დიდათ დავალებული ვიქნები ბ. ეშმაკისაგან ნებას მომცემდეს მათის მეოხებით მადლობა გამოუცხადო იმ მეცნიერ ადამიანს ასეთი უებარი „სეკრეტი“ წამლის გამოგონებისათვის და ბ.ბ. აგენტებს რო კარგა დაჰკრეს საყვირი და ტყვილათ გაუგებრათ არ დაგვაკარგვინენ წამლის ფასი ჩვენს დარჩელის ძველ აფთიაქი (დიდი ხანია აქ ეს აფთიაქში არსებობს და კურთხეულ კანდელაკსაც იმდენი „ზაპასი“ ქონია, რო დაძველებულა თურმე წამლები!).

**ყანი.**

# ᲒᲝᲡᲝᲓᲐ

**ზოსიმეს** თქვენი ლექსი „გოდება“ ასე თავდება:

„მე რადა ვარ ქვეყანაზე
და რათ მიდგს მე ცხოვრება?
დედა-ენას რო ვერა ვხსნი,
ენაზედ რომ შებოდრკება.
და მკითხველო, შენ ჭაბუკო,
დროს ნუ ჭკარგავ სჯობს;
თორემ ჩემებრ მოინადგდი,
ასე იტყვი ვაი, ვაი“.

ეტვს გარეშეა, მკითხველი ჭაბუკიცა და ხნიერიც უთუოდ იტყვის „ვაი, ვაის“, როცა ამგვარ ნაწარმოებს წაიკითხავს.

—

**ლუკა ტბისპირელს.** თქვენ გვაცნობებთ: „ზემო ტოლი ტოტა თეძო ჩაგარდნილია, თვალები კანზე აქვს მიდრეტილი, ცხირი სხვიდან ხორთუმს მიუგავს, ეურო სმენა აკლია, თორემ სისხო კიდევაც სწარბობს და სხვა“.

თქვენ როგორც ხედავთ ბედნიერი ყოფილხართ, ხოლო ჩვენ მამინ ჩავთვლით თავს ბედნიერათ, თუ მან წერა არ იცის.

—

**ცილთას პირელს.** არც სახეშმაროა, არც სერიოზული, არც დაიბეჭდება.

—

**განჯელს** (და სხვა ამგვარებს). სარედაქციო წერილი იწერება ქაღალდის მარტო ერთ მხარეზე პროზათ (ან ლექსათ). წერილის შინაარსი უნდა იყოს საინტერესო და სიმართლისაგან არც დიდათ დაშორებული. წერილის ბოლოში დამწერმა უნდა მოაწეროს თავისი **სახელი, მამისახელი და გვარი.** ამის შემდეგ შეუძლია ფსევდონიმიც აღნიშოს.

—

**დიკოლას.** „სუფსაში დიდი კარტ ბაქი-ბუქის თამაშაო“— იწერებით თქვენ. ეს რაღაც ახირებული თამაში უნდა იყოს „ბაქი-ბუქის“ თამაში. „მე არ მიუგარს, მაგრამ მაინცაა **ვეჩრები**“.

საკვირველია ღმერთმანი, თუ არ გიყვართ რაღას ეჩრებით?

—

**ჭაგნელ ჩიტუნიას.**

„ჯერ ვესტუმრები ვეშურ „ხიხინას“
მივუდიდინებ ნედაო

(ყაი თუ სარეთ გამოშეკიდა
ის არის ხათაბეფდაო“)

რედაქცია „ეშმაკის მათრახისა“ გულწრფელად გირჩევსთ მიხვიდეთ იმ „ხიხინა ვაჭართან“, თუ კი ის მართლა სარით გამოგეკიდება. ვინ იცის!

—

**„ლ“-ს.** თქვენ სამი ლექსი გამოგზავნეთ. ერთს აწერია „ლ. **კვატია**“, მეორეს „ლ. **ჭუკია**“, მესამეს „ლ. **გოჭია**“.

ფსევდონიმი ყველგან შესაფერია, მაგრამ ლექსი არცერთი არ გამოდგა. ივარჯიშეთ სხვა ცხოველებზედაც.

—

**ლეის პირელს.** თქვენს ლექსს მნიშვნელობა ექნებოდა მარტო ხოფისათვის და ისიც მაშინ, თუ რომ ბ-ნი ფერშალი დარჩენილიყო, მაგრამ ის რაკი მოგშორდათ სხვა რაღაა საჭირო.

—

**„გოროდისტ მარადისტს“.** თქვენი პატარა წერილი სამჯერ წავიკითხეთ და მხოლოდ ერთადერთი დასკვნა გამოვიტანეთ: დავიტოვოთ თქვენი ფსევდონიმიდან ორი ანბანი ჟურნალში დასაბეჭდათ, სახელდობრ პირველი სიტყვიდან ასო „ს“, ხოლო მეორედან ასო „ტ“, დანარჩენს დაგიბრუნებთ თქვენ.

—

**ევსევის.** აი თქვენი „სიზმარი“.

„ერთხელ სიზმრად დიდ მიდორზე
სალხსა თავი მოეკრა,
შეანკარეს კიდეკელმი დაეწერა
და ჩამოსახრჩობათ მოეკანა.
ამ დროს ზევით ავიხედე
მომეჩვენა რადაც ერთი,
დავუკვირდი, ქვევით მოდიოდა
ეოფლათ შემძღე შამა დმერთი“.

მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ ცხადში ვნახეთ თქვენი ლექსი. თორემ „სიზმრის ახსნაში“ სწერია: —დაქსი იხიდო უშინ და უდაზათო ადრისა თვინიერ ნათხუზი — ავი. ძაღლმა ეოფიანმა გიკბინოს.

—

**იპო ორჯონიკიძეს.** „ლიზიკო“ აღმოჩნდა. წაიყვანეთ „განათლების“ კანტორიდან.

## პატარა სცენა

— გამარჯობა ივანე შენი.

— სიმონს გოუმარჯოს, მობრძანდი, რა გნებავს?

— ერთი წუღა მინდა, ძამია და თუ რიგიანათ მომცემ კი დაგიმადლებ.

— შენც კი იცი, ჩემო სიმონ, ყორიფელი გაძვირებულია, თავის რჩენა გაჭირდა, მარა შენ მაინც რიგიანათ მოგცემ. ჩემი ძველი მუშტარი ხარ. (იღებს და აძლევს წუღებს).—აგი ცამეტი აბაზი, აგი კი სამი მანეთია.

— რა ამბავია, კაცო, ამისიძვირე? კი მითხარი ძვირიაო, მარა ცეცხლი თუ ეკიდებოდა აი კი აღარ ვიცოდი.

— რა ვქნა, სიმონ, ტყავი გაძვირებულია, და ათასი ბანდიც მაქ, რომ ჩამოგიყვე თითები არ აგითავდება.

— ბანდი ჩემდენი შენ არ გექნება ძამია!

— ამას ნუ იტყვი სიმონ. მიჩვენე ხელი (სიმონ აძლევს ხელს, ივანე კი თითო თითოთ აკაკვიებს თითებს) მოკაკვე აი ერთი, ეს სახლია გასაკეთებელი, ახლა მოკაკვე მეორე,—აი ჩემი უფროსი ქალიშვილი ლუბაიეია, მოკაკვე მესამე, უმცროსი ქალიშვილი თამარაი, მოკაკვე მეოთხე—ჩემი ცოლი მატრონაი, ახლა მე მომკაკვე, ძმაო, ოაღას მერჩი, მეც ჭამა მინდა. ამდენი ხლაფორთი მაქ ძმაო, ეს ყველა ჩემმა მუშაობამ უნდა გაასწოროს.

— შენ ძმაო ხუთი დაგირჩა მოსაკაკვავი და მე რომ ჩამოგითვალო ფეხის თითებიც უნდა მიატოლო. შენ სახლი ქე ააშენე, მე ღორი როის გამიტანს საფარეშოდან იგიც არ ვიცი. თუ ნაკლებ მომცემ კარგია, ძმაო, თვარა რა გიყო შენი ნებაა.

— ვერა, ძმაო, არ შემიძლია.

— მშვიდობით ბრძანდებოდე. (მიდის).

— მშვიდობით, ისთე შენი ხათრიზა ორ-ორ შაურს კი დაგიკლებ.

— ვერა, ძმაო, ეს ნამეტარი ძვირია, შენ რომ მოსაკაკვავი გყავს ყველაის რჩენას მე თუ მიკვეთ, მაინც გამძრობია ქათიბა და იგია.

**ჩიკვატია.**

---

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა კ. თავართქილაძის მიერ შედგენილი და კანტორა „**განათლების**“ მიერ გამოცემული 1916 წლის.

# კედლის კალენდარი

კალენდარი დასურათხატებული იქნება მწერლების და საზოგადო მოღვაწეობის სურათებით, მოზრდილი ფორმატის.

დაკვეთა ეხლავე შეიძლება შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Почтовый ящикъ № 96. С. Р. Таварткиладзе.





# ლაღიძის წყალი

ბაუფართხილდით თქვენს ჯანმრთელობას — მიირთვით

ლაღიძის

ხილეულ-მაღნეულის
საბუნებო

მოიმოწმეთ
ყველგან!





**რა მასმევს ლაღიძის წყალს?**

(ახნაზაროვისებური)

— ნაცნობები და ძმა-ბიჭები სულ იმის ჩამციე-
ნან და მეკითხებიან რა მასმევს **ლაღიძის წყალს?**

— თქვენ ისა მკითხეთ თუ რა არ მასმევს, თო-




მ მაგისი პასუხი ადვილია.

— რა მასმევს **ლაღიძის წყალს?** პირველი ისა,
ომ მინდა ვიცოცხლო და ჯანმრთელად ვიყო,
ეი რომ ლაღიძის წყალი ნამდვილი ბუნებრივია,
ს არ არის სახარინითი და სხვადასხვა დოზანათი
ამტკბარი, ვიცი რომ ის ფ-ლტრში გატარებული
ა გადადუღებული წყლიდან არის მომზადებული,
შასადამე მჯერა რომ მასში აი ის ოხერი რაღაცა
ილებია არ ერევა და ვიცი არ მოვიწამლები.
ა **მასმევს ლაღიძის წყალს?** მე რას მეკითხებით,
ვით იგემეთ მისი გემო და მერე მე აღარ მკით-
ეთ და თუ მაინც მკითხავთ დამაცათ და მოგახ-
ენებთ!




**მეეზოვე.** ბატონო, პარპენიც გავაყოლო?

**ახალი გამგე.** გააყოლე. გააყოლე.

ნებადართ. სამხ. ცენზორისაგან. სტამბა „ბრძა“. რედაქტ.-გამომცემელი **თეოფილე ბოლქვაძე.**